თვალსაზრისი

ზურაბ კიკნაძე

აბრაამის განსაცდელი

I. „მე მომკლავენ, შენ კი გადარჩები“

დაბადების წიგნის მე-12 თავში, სადაც აბრამი (ჯერ კიდევ აბრამი!) იღებს მოწოდებას, დასტოვოს თავისი ქვეყანა, თავისი შობის ადგილი და მამის სახლი, და წავიდეს იმ მხარეში, რომელსაც ღმერთი უჩვენებს, მოთხრობილია ამბავი ეგვიპტეში მისი და სარას ჩასვლისა და იქ ყოფნის შესახებ:

„და იყო შიმშილი ქვეყანაში და წავიდა აბრამი ეგვიპტეში საცხოვრებლად, რადგან მძვინვარებდა შიმშილი ქვეყანაში. და როცა მიუახლოვდა ეგვიპტეს, უთხრა სარაის, თავის ცოლს: ვიცი, ლამაზი შესახედავი ქალი ხარ. და როცა დაგინახავენ ეგვიპტელები და იტყვიან, ამ კაცის ცოლიაო, მე მომკლავენ, შენ კი ცოცხალს დაგტოვებენ. თქვი, რომ და ხარ ჩემი, რათა კარგად მომეპყრონ შენი გულისთვის და გადავრჩე შენი წყალობით:
და როცა ჩავიდა აბრამი ეგვიპტეში, დაინახეს ეგვიპტელებმა, რომ ძალიან ლამაზი იყო მისი ცოლი. და დაინახეს იგი ფარაონის დიდებულებმა და შეუქქეს ფარაონს, და წაიყვანეს ქალი ფარაონის სახლში. ხოლო აბრამს კეთილად მოეპყრნენ მისი გულისთვის. და ჰყავდა მას ცხვარი და საქონელი, სახედრები, მსახურნი და მხევალნი, ჯორები და აქლემები. და დიდად შეაჭირვა უფალმა ფარაონი და მისი სახლი აბრამის ცოლის სარაის გამო. და მოუხმო ფარაონმა აბრამს და უთხრა: ეს რა მიყავი, რატომ არ გამიმხილე, შენი ცოლი თუ იყო ეს ქალი? რატომ თქვი, ჩემი და არისო? მე კი მის ცოლად შერთვას ვაპირებდი. აჰა, შენი ცოლი, წაიყვანე და წადი. და მიუჩინა ფარაონმა ხალხი და მათაც გაამგზავრეს იგი მისი ცოლითა და მთელი მისი საბადებლითურთ“ (დაბ. 12:10-20).

ქრისტიანულმა ეგზეგეტიკამ მდუმარედ ჩაუარა გვერდი ამ უცნაურ პასაჟს, ვერ ამოიკითხა მასში რაიმე ღირებული ნიშანი, რაც აბრაამის, რო-

გორც *რწმენის მამის*, მეტიც, სოტერიოლოგიური პიროვნების, საქციელს გაამართლებდა. ხოლო ბიბლიის თავისუფალ ინტერპრეტაციებში ეს პასაჟი ერთ-ერთ ძნელ ადგილად არის მიჩნეული. მისი განმარტებისას მთელი აქცენტი მოდის აბრამის მიერ თავის გადარჩენის მიზნით ნათქვამ სიცრუეზე. აბრაამს ბრალი ედება არა უბრალოდ ტყუილის თქმაში, არამედ არსებითად იმაში, რომ მან ამ ტყუილით კინაღამ ჩაადენინა აბიმელექს მრუშობა, რომელიც არცთუ უმტკივნეულო ცოდვად ითვლებოდა ძველ ახლო აღმოსავლეთში (იხ. G. Hepner. Abraham's Incestuous Marriage with Sarah, Vetus Testamentum, Vol. 53, Fasc. 2. 2003). ან როგორ იფიქრა აბრაამმა, *რწმენის მამამ*, რომ სიცრუე იხსნიდა მას, თითქოს ღმერთი მუდამ მის გვერდით და მის ხილვებში არ ყოფილიყოს? სავსებით ლოგიკურია მსჯელობა: „თუ აბრაამი არ იყო დარწმუნებული, რომ უფალი დაიცავდა მის ღირსებასა და სიცოცხლეს ეგვიპტეში ყოფნის დროს, მაშინ ის არასოდეს ჩავიდოდა ეგვიპტეში" (იხ. Gleason L. Archer, Encyclopedia of Bible Difficulties, Michigan, 1982, გვ. 89). ინტერპრეტატორი აბრამს ამ საქციელს რწმენის ნაკლებობაში უთვლის. და თითქოს ეს იყო უშუალო მიზეზი იმისა, რომ აღთქმის შვილი ისაკი მას მრავალი (ოცი თუ მეტი) წლის მტანჯველი მოლოდინის შემდეგ შეეძინა (ibid. გვ. 90).

შიში საკუთარი სიცოცხლის გამო რეალურია და სავსებით ადამიანური. არც სინამდვილის დაფარვაა არაადამიანური საქციელი, თუ ამას საჭიროება მოითხოვს. თუ წიგნის ფარგლებში დავრჩებით, არც რებეკას და არც იაკობს ცოდვაში არ ჩათვლიათ და არ მოჰკითხვიათ უსინათლო პატრიარქის, რბილად რომ ვთქვათ, შეცდომაში შეყვანა. ისევ და ისევ წიგნის მიზანდასახულობის პოზიციიდან, ტყუილი გამართლებულია. იაკობს იმიტომ არ ეწოდება წიგნში „სრული კაცი", რომ ტყუილი არასოდეს უთქვამს. მიზანი იმდენად გრანდიოზულია, რომ იგი ამართლებს ამ საშუალებას. ტყუილი, რომელიც ყველა სხვა შემთხვევაში, უკადრისი საქციელი იქნებოდა, მით უმეტეს უსინათლო ადამიანის მიმართ, ამ შემთხვევაში ბუნების „ნათავხედარის" გამოსწორების ერთადერთი საშუალებაა. ისაკის ტრადიციული სიყვარული პირმშო ესავისადმი, ან, შესაძლოა, უფრო მისი ხელით მომზადებული კერძისადმი, ადამიანურად გასაგებია, მაგრამ პატრიარქის არჩევანი — აღთქმის შვილად ესავის აღიარება — მისი განხორციელების შემთხვევაში ღვთიური განგებულობისთვის კატასტროფა იქნებოდა. განგების უფალი ამ გადახვევას თუ ჩავარდნას უმცროსი შვილისადმი დედის მიკერძოებული სიყვარულისა და ტყუილის მეშვეობით ასწორებს. ადამიანს არ მოეთხოვება განგების განჭვრეტა, მაგრამ ისაკს, ნანადირევის სიყვარულის გარდა, არაფერი უშლიდა ხელს იმის სათქმელად, რაც თქვა ღმერთმა გვიანდელი წინასწარმეტყველის პირით: „განა ესავი იაკობის ძმა არ არის? მაგრამ მე იაკობი შევიყვარე, ესავი კი შევიძულე" (მალ. 1:2-3).

რწმენის ნაკლებობის გარდა, აბრამს არცთუ ღირსეულ საქციელად უთვლიან იმასაც, რომ სარას გამო მან ჯერ ეგვიპტეში და მერე გერარში არცთუ მცირე ქონება მოიპოვა (დაბ. 12:16; 20:14) და სრულიად კმაყოფილი სინდისით დაბრუნდა ქანაანში (ibid. გვ. 90). ცოლის უარმყოფელმა ქმარმა, როცა სი-

მართლე გაირკვა, მორალური ზიანისთვის ქონებრივი ანაზღაურება მიიღო, თითქოს თავად არ შეეყვანოს შეცდომაში ფარაონისა და გერარის მეფის კარი. საბოლოოდ, ორივე შემთხვევაში გაირკვა, რომ ეს ქვეყნები სრულიად არ იყვნენ ისეთები, როგორადაც აბრამს წარმოედგინა: „მეგონა, არ იყო ღვთის შიში ამ მხარეში და მომკლავდნენ ჩემი ცოლის გამო“ (დაბ. 20:11). კერძოდ, ეგვიპტეში როგორც მკვლელობა (ვისაც არ უნდა ჩაედინა, იხ. დაბ. 2:14-15, მოსეს ეპიზოდი), ისე მრუშობა უპატიებელ ცოდვად ითვლებოდა („არ მიმრუშია, არ წამიბილწავს ჩემი სხეული“, იხ. E. A. Wallis Budge, The Egyptian Book of Dead, გვ. 346 [Ch. 125]). ისევ და ისევ წიგნს თუ მივხედავთ, აბრამის ჩასვლა ეგვიპტეში პროვიდენციულია (და პარადიგმატულიც): იგი შეიძლება ჩავთვალოთ პატრიარქის მიერ იმ ქვეყნის პირველგაცნობად, სადაც მისგან წარმოშობილ ხალხს ოთხასი წელი უნდა გაეტარებინა და, საბოლოოდ, დამამცირებელი ყოფიდან თავდახსნილს, მონობის საზღაურად არცთუ მცირე ქონება გაეტანა ქვეყნიდან („ასე გაძარცვეს ეგვიპტე“, გამ. 14;36).

თანამედროვე ყოფისა და მორალის თვალით და წიგნის მიზანდასახულობისგან, კერძოდ, მისიისგან მოწყვეტით თუ შევხედავთ, აბრამის საქციელს, რომელიც გერარში მეორდება (დაბ. 20:1-18), განსაკუთრებით, სიტყვებს „მე მომკლავენ, შენ კი ცოცხალს დაგტოვებენ“, მამამთავარი მთლად ღირსეულად ვერ გამოიყურება. მაგრამ ამ სიტყვებს, ყოფითი ადამიანისთვის უცნობი სიღრმიდან — რწმენიდან და მოლოდინიდან წარმოთქმულს, ყოველდღიურ ყოფას და ადამიანურ მორალს განსასჯელად არ უნდა მივანდოთ.

აბრაამის პიროვნება იმ გამოცხადებების შემდეგ, რომელიც მან ქანაანში მოსვლისთანავე მიიღო, აღარ არის შემოზღუდული თავისი ხილული ცხოვრებისეული გამოცდილებით და ამოცანებით — მასში უხილავად იმყოფება მომავალი, რომლის დაცვა ამიერიდან მის საზრუნავს შეადგენს. გარეშე თვალისთვის მისი ქანაანში მსხემობა დროებითია და მსხემი — მარტოსული, მაგრამ იმის თანამყოფობის ცოცხალი განცდით და შეგნებით, რასაც ის უხილავად ატარებს, იგი მარტოსულად, ოდენ თავისი თავის ანაბარად ვერ ჩაითვლება, თუმცა ის, რასაც აბრამი ატარებს თავის საზარდულში, მხოლოდ შესაძლებლობაა, რომელიც აქტუალობას აღთქმის შვილის დაბადებით შეიძენს. აღთქმის შვილი მისთვის მარადისობის წინკარია, საიდანაც იწყება გზა, რომელიც პროვიდენციამ უნდა გაკვალოს. მაგრამ ჯერ აღთქმის შვილი არ დაბადებულა, სათუოც კი არის მისი შობა. აბრამი ასაკს არის გადასული, ასევე სარაც, რომელიც, ამასთანავე, ბერწია. მიუხედავად ამისა, აბრამის რწმენა გამოცხადებებისადმი არ შერყეულა. ის დარწმუნებულია, რომ თესლი მისი წიაღიდან გამოვა, მაგრამ იმაში არ არის დარწმუნებული, რომ სარასაც წილი ექნება აღთქმის შვილის შობაში. გამოცხადებებში სარა არ ფიგურირებს.

შენიშვნა. ერთხანს უშვილო მოხუცი ფიქრობდა, რომ გამოცხადებებში მიღებული აღთქმები არა მისი ღვიძლი შვილის, არამედ მის სახლში შობილის გზით უნდა აღსრულებულიყო. მაგრამ ეს ეჭვი გაიფანტა: „და, აჰა, უფლის სიტყვა იყო მის მიმართ: არ იქნება იგი შენი მემკვი-

დრე. მხოლოდ შენი წიაღიდან გამოსული იქნება შენი მემკვიდრე“ (დაბ. 15:4).

ამიტომაც სიტყვები „მე მომკლავენ“ არ უნდა განვიხილოთ აბრაამის შიშის გამოხატულებად მისი ემპირიული, ამ დროსა და ამ სივრცეში (აქ და ახლა) არსებობის გამო (უშიშობა, თავდადება და თავგამოდება მოყვასისთვის მან მცირე ხნის შემდეგ დაამტკიცა: 14:1-16, ლოტის გამოხსნა; 18:23-33, სოდომის ეპიზოდი) და არც “შენ კი ცოცხალს დაგტოვებენ“ — სარას უგულვებელყოფობად. „მე მომკლავენ“ — ამ სიტყვებით შიშს გამოთქვამს არა იმდენად აბრაამი, როგორც კერძო პირი, რომელსაც მხოლოდ საკუთარი თავი და სიცოცხლე აბარია და, ბუნებრივი კანონის ძალით, ვალდებულიც არის დაიცვას იგი, არამედ პიროვნებას, პასუხისმგებელს იმ პერსპექტივის წინაშე, რომელიც მას პროვიდენციამ დაუსახა. აბრაამმა უნდა იცოცხლოს, რა მსხვერპლიც არ უნდა მოითხოვოს სიცოცხლემ, რადგან ეს სიცოცხლე მხოლოდ მას ეკუთვნის.

II. „და შეგქმნი დიდ ხალხად..“

„ჭეშმარიტად, შენ მოიპოვე ყველაფერი
და ისაკიც შეინარჩუნე“
სერენ კიერკეგორი

ეს ეპიზოდი პატრიარქის ცხოვრებიდან, რომელიც მოთხრობილია დაბადების წიგნში —

„ამ ამბების შემდეგ იყო, რომ გამოსცადა აბრაამი ღმერთმა და უთხრა: აბრაამ! მიუგო: აქა ვარ! და უთხრა: მოჰკიდე ხელი შენს ძეს, შენს ერთადერთს, რომელიც გიყვარს, ისაკს, და წადი მორიას მხარეში, და შესწირე იქ აღსავლენ მსხვერპლად ერთ მთაზე, რომელსაც გიჩვენებ. და ადგა დილაადრიანად აბრაამი, შეკაზმა თავისი სახედარი, თან წაიყოლა თავისი ორი მსახური ბიჭი და ისაკი, თავისი ძე. და დაჩეხა სამსხვერპლო შეშაც. და ადგა და წავიდა იმ ადგილისკენ, ღმერთმა რომ მიუნიშნა. მესამე დღეს გაიხედა აბრაამმა და შორიდან დაინახა ის ადგილი. და უთხრა აბრაამმა თავის მსახურ ბიჭებს: თქვენ აქ დარჩით სახედართან, მე და ეს ბიჭი კი იქ წავალთ, თაყვანს ვცემთ და თქვენთან მოვბრუნდებით. და აიღო აბრაამმა სამსხვერპლო შეშა, აჰკიდა ისაკს, თავის ძეს. და აიღო ხელში ცეცხლი და დანა, და წავიდნენ ორნი ერთად. და უთხრა ისაკმა აბრაამს, თავის მამას, უთხრა: მამაჩემო! და უთხრა აბრაამმა: რა იყო, შვილო? და უთხრა ისაკმა: ცეცხლი და შეშა მოგაქვს, აღსავლენი კრავი სადღა არის? და უთხრა აბრაამმა: ღმერთი გამოაჩენს თავისთვის აღსავლენ კრავს. და მიდიოდნენ ორნი ერთად. და მივიდნენ იმ ადგილზე, ღმერთმა რომ უთხრა, და აღმართა იქ

აბრაამმა სამსხვერპლო, დააწყო შეშა, შეკრა ისაკი, თავისი ძე, და დასვა იგი სამსხვერპლოზე, შეშის ზემოთ. და გაიწოდა ხელი აბრაამმა და მოიღო დანა შვილის დასაკლავად. და მოუხმო მას უფლის ანგელოზმა ციდან და უთხრა: აბრაამ! და მიუგო: აქა ვარ. და უთხრა: ნუ აღმართავ ხელს ამ ყმაწვილზე, ნურაფერს დაუშავებ მას, რადგან ახლა გავიგე, რომ ღვთისმოშიში ხარ — შენი ძე ერთადერთი გაიმეტე ჩემთვის. და გაიხედა აბრაამმა და ხედავს: აჰა, ერთი ვერძი რქებით არის გახლართული ბუჩქებში. და მივიდა აბრაამი, აიყვანა ვერძი და შესწირა აღსავლენ მსხვერპლად თავისი ძის ნაცვლად. და უწოდა აბრაამმა სახელად ამ ადგილს: უფალი გამოაჩენს, როგორც ითქმის დღეს: უფლის მთაზე გამოჩნდება. და მოუხმო უფლის ანგელოზმა აბრაამს მეორეგზის ციდან და უთხრა: ჩემს თავს ვფიცავ, ამბობს უფალი. რაკი ეს საქმე გააკეთე, რაკი მხოლოდშობილი შენი ძე გამოიმეტე ჩემთვის, კურთხევით გაკურთხებ და გიმრავლებ თესლს ცის ვარსკვლავებივით და ზღვის ქვიშასავით..." (დაბ. 2 2: 1-17) —

ქრისტიანულ ეგზეგეტიკას თავიდანვე გააზრებული ჰქონდა გოლგოთის მსხვერპლის წინასახეობრივ მოსწავებად, იგავურ სახედ იმისა, რაც უნდა მომხდარიყო. მაგრამ ადამიანი იგავზე მეტია, თუნდაც ეს იგავი საკაცობრიო სოტერიოლოგიური პროცესის საფეხური იყოს: აბრაამი რეალური ადამიანია, გაჩენილი ხორციელად ღვთის ხატად და მსგავსებად, და ეს ამბავი, რომელსაც ვკითხულობთ დაბადების წიგნში, ნამდვილად შეემთხვა მას, ცოცხალ ადამიანს, რომელსაც ნაწინასწარმეტყველები მისიის შეგნების გვერდით ჰქონდა საკუთარი ცხოვრებისეული ინტერესები, სიყვარული, იმედები. მის გულში (რომელიც იყო კონკრეტული მოკვდავი ადამიანის გული) გაიმართა დრამა და გაცხადდა რწმენის საიდუმლო. და თუ მთხრობელი სიტყვასაც არ ძრავს მის დაფარულზე, ეს კიდევ უფრო აძლიერებს ჩვენს განცდას, რომელიც გვეუფლება იმ გზაზე, სადაც „მიდიოდნენ ორნი ერთად" და რასაც ჩვენ მამა-შვილთან ერთად ხებრონიდან (თუ ბეერ-შებადან) მორიას მთამდე წარმოსახვით გავდივართ. არც ერთი ეპოქის ქრისტიანი არ წყვეტს ფიქრს იმ ადამიანზე, რომელსაც დაეკისრა ჯვარცმის საიდუმლოს წინასახეობრივი გამოხატვა.

შესაძლოა, საჭოჭმანო იყოს, რომელია მეტი — იგავის ადამიანი თუ კონკრეტული კაცი, რომელიც არსებობდა ამქვეყნად, დაიბადა, იცხოვრა, მოკვდა; რომლის სახე თუ არ შემორჩა და არ ვიცით, როგორ გამოიყურებოდა, მაგრამ ის ხომ დანამდვილებით ვიცით, რომ სადღაც (თუმცა რატომ სადღაც?) მისი ძვლების ნაშთები შენახულია, ძვალი კი, ამავე წიგნიდან ვიცით, რომ ყველაზე შეუმუსრავი ნაწილია — მეტიც: სუბსტრატი ადამიანის ფიზიკურ სხეულში. თუ ეს რამდენადმე საჭოჭმანოა, არაფრით არ უნდა იყოს გამართლებული ამ რეალური ადამიანის გამოყენება ეთნოლოგიურ თუ რელიგიის ისტორიის პარადიგმად; რაც ერთხელ ითქვა ავტორიტეტულად, დღემდე რჩება იმ თითქოს შეუვალი ისტორიული ფაქტის არგუმენტად, რომ ერთ დროს კაცობრიობის ისტორიაში არსებობდა ადამიანის

მსხვერპლშეწირვა და რომ ერთ გარდამტეხ ეპოქაში, რომელიც პარადიგმის სახით ამ ბიბლიურ ეპიზოდში გამოიხატა, ადამიანის მსხვერპლს პირუტყვის მსხვერპლი შეენაცვლა.

შენიშვნა. ეს ეპიზოდი ამგვარი ინტერპრეტაციის საშუალებას ნამდვილად არ იძლევა. შესაძლოა, პირიქითაც ყოფილიყო. რამდენადაც აბრაამს ქანაანში შემოსვლისთანავე საკურთხევლები ჰქონდა აგებული შინაური პირუტყვის შესაწირავად, უფლის ეს მოთხოვნა აბრაამის მიერ, შესაძლოა, მსხვერპლშეწირვის ახალი წესის დაარსებად აღქმულიყო. მას შეეძლო ეფიქრა, რომ რადიკალურად იცვლება ამ რიტუალის შინაარსი და ფუნქცია. მაგრამ იმან, რაც ამბის დასასრულს მოხდა, ნათელი გახადა ამ არაორდინარული მოთხოვნის საზრისი.

ადამიანის მსხვერპლად შეწირვა რომ მართლაც არაორდინარულ შემთხვევად შეირაცხებოდა ბიბლიურ სამყაროში, იქიდანაც ჩანს, რომ, როცა მოაბს ისრაელიანთა ალყისგან სრული განადგურება მოელოდა, მეფემ გამოიყვანა თავის პირმშო და მოალყეთა თვალწინ აღსავლენ მსხვერპლად შესწირა (3მეფ. 3:27). ეს იყო უკიდურესი საშუალება მტრისგან თავის დასაცავად, რის გამოც აგრესორმა ისრაელმა თავისივე უფლის წყრომა დაიმსახურა: „და იყო დიდი წყრომა ისრაელის მიმართ, და მოსცილდნენ მოაბს და თავის ქვეყანაში დაბრუნდნენ“. შესაძლოა, ამ ტრაგიკული შემთხვევევის გამო, რომელიც მოაბელთათვისაც მოულოდნელი უნდა ყოფილიყო, მიეწერა მათ ღმერთს ქამოშს, თითქოს იგი მხვერპლად ბავშვებს მოითხოვდა. და ეს აზრი დღემდე უსამართლოდ ქრესტომათიულია (იხ. მაგ., New Bible Dictionary, ed. by J. D. Douglas, F. F. Bruce.., 184).

არ მოიძებნება ადამიანი, რომელსაც აბრაამის მსგავსი განსაცდელი გადაეტანოს და, რაც მას გადახდა, აუტანელია. ნამდვილად შეეძლო მას ეთქვა და ალბათ ამბობდა კიდეც მასში ემპირიულ-ყოფითი ადამიანი: ღმერთო, უფრო ძნელია ეს განსაცდელი, ვიდრე ხორციელს შეუძლია მისი ატანა. მაგრამ ვინც პირველად ეს სიტყვები წარმოთქვა (დაბ. 4:13), სწორედ მიუტევებელი და, ამდენადვე, აუტანელი დანაშაულის განცდით და შეგნებით წარმოთქვა. აბრაამის უკან კი მხოლოდ კეთილი საქმეების კვალი იყო. და კიდევ რას იტყოდა იმ დილას, ვინ იცის, რომ ჰქონებოდა მას ძალა უფალთან დიალოგის გამართვისა, როგორც ერთ დროს გაუმართა, როცა მისთვის უცნობ სოდომელებს ესარჩლებოდა. ახლა კი, როცა ისაკს კარგავდა, ის დადუმდა, გულში ჩაიბრუნა ყოველი ამაო სიტყვა. ამ მოთხოვნის შემდეგ, რაც უნდა თავზარდამცემი ყოფილიყო იგი, აბრაამს კიდევ უფრო უნდა განმტკიცებოდა რწმენა, რომ ისაკი ნამდვილად აღთქმის შვილი იყო, რაკი უფალი ითხოვდა მას, და ამიტომაც ისეთივე ძვირფასი უფლისათვის, როგორც მისთვის, მამისათვის. აღთქმის შვილი კი სხვა სიყვარულით უნდა ჰყვარებოდა, არა ისეთით, როგორითაც ისმაელი, „ბუნებითი შვილი“, უყვარდა. აღთქმაც ხომ

უფლისგან იყო და შვილიც, რომლის გაჩენის მოლოდინი არც მას და, მითუმეტეს, არც ბერწყოფილ დედას, არ ჰქონია. ახლა უფალი მოითხოვდა მას მსხვერპლად, როგორც საუკეთესოს ქმნილებათა შორის, ყველაზე ძვირფასს, რადგან ჭეშმარიტი მსხვერპლი მსხვერპლთა მსხვერპლია და ამიტომაც მხოლოდ ფასდაუდებელი, ერთადერთი, განუმეორებელი რამ შეიძლება იყოს. როგორც ჩანს, უფლისთვისაც ძვირფასი ყოფილა ისაკი, მამისთვის კი — უცილობელი აღთქმის დასტური, და იგი ასეთად დარჩებოდა სამარადისოდ, თუკი უფალი მიიღებდა მას მსხვერპლად.

ის, რაც ღმერთმა მოითხოვა აბრაამისგან, ჩვეულებრივი რიტუალური მოვლენა რომ არ იყო, იქიდანაც ჩანს, რომ ეს აქტი მისი გამოცდის მიზნით იყო მოთხოვნილი. მსგავსი განსაცდელები ყოფნა-არყოფნის ზღვარზე ევლინება ადამიანს. ყოფითი თვალთახედვით, ცხადია, სრულიად გაუგებარია აბრაამის საქციელი; მაგრამ, თუ გავითვალისწინებთ იმ წიგნის მიზანდასახულობას, სადაც ეს ამბავია მოთხრობილი, და, კერძოდ, იმას, თუ რა მისიას აკისრებს ღმერთი ზოგიერთ ადამიანს და რას მოელის მისგან, ეს სასტიკი გამოცდა თავის საზრისს შეიძენს.

ცხოვრობდა კაცი მშვიდად, მართალი, წრფელი კაცი, ნეტარებდა თავისი სასოების ნაყოფით. და ეს ნაყოფი, ისაკი, თითქოს ედემის ხე იყო მისთვის მისი მდგმურობის ქვეყანაში, მის კარავში მიმწუხრზე აღმოცენებული. მის დაბადებამდე შუაღამობით აღვიძებდა ხმა და გაჰყავდა ხმას კარვის გარეთ და აახედებდა ვარსკვლავებისკენ, რათა განეცადა, რომ ის სიმრავლე, რაც ცაშია, მის წიაღშიცაა, რომ მისი თესლი იტვირთავდა ამ საიდუმლოს (დაბ. 15:5).

როგორც ჩანს, ამ დღემდე, რაც მორიას მთაზე განიცადა, აბრაამის შეგნება კიდევ არ იყო მზად იმ სასწაულის ბოლომდე გასააზრებლად, რაც ისაკის შობით გამოიხატა. „და გამოსცადა აბრაამი ღმერთმა“. გამოსცადა ამ საშინელი განსაცდელით, რათა ჩასწვდომოდა ფსკერს იმ არარაობისა, იმ შეუძლებლობისა, საიდანაც დაიბადა აღთქმის შვილი; და რომ ის დაიბადა არა მხოლოდ (ან სრულიადაც არა) მშობლის სასიყვარულოდ და სიბერის სანუგეშებლად; რომ ის არ იყო მხოლოდ „ძე სიბერისა“, მისი საკუთარი შვილი, არამედ ის ეკუთვნოდა მომავალს; რომ იმ ურიცხვი ვარსკვლავების თესლი უკვე მასში, მის საზარდულში იყო. „და ადგა დილაადრიანად აბრაამი...“ განა დილით არ იწყება ახალი საქმე — უზმოზე, უბრად? რა სიტყვა უნდა წარმოთქმულიყო ამ დილით, რომ გამოეხატა ის საიდუმლო, რომლის აღსასრულებლად მიდიოდა? თუ შემორჩა, ან თუ ოდესმე ჰქონია, ადამის ენას ამის ძალა? დილის ბინდში რას ფიქრობდა შვილის შესაწირავად მიმავალი მამა? თუ ღმერთმა აღთქმის შვილით სასწაული უჩვენა, თუ მისი აღთქმა ურიცხვი ხალხისა და ქანაანის დამკვიდრების გამო ახლაც მტკიცეა და გარდაუვალი, მაშინ უფალმა იცის, როგორ შეასრულოს აღთქმა და წარმოშვას ერი, და ეს სასწაულთა სასწაული იქნება. ისაკი არ დაიკლა, მაგრამ ვინ იტყვის, რომ ის შეწირული არ იყო — ის ხომ იდო სამსხვერპლოზე შეკრული და მამას უკვე აღმართული ჰქონდა დანა. შესრულებული იყო პირობა, რომელსაც ყოველ დროში, აბელიდან მოყოლებული, მოითხოვს უფალი

შემწირველისგან: რომ დაუტეოს ყოველი ამსოფლიური საზრუნავი, რომ საბედისწერო ჟამს, როგორიც ახლა დაუდგა აბრაამს, დაივიწყოს ხორციელი მამობა და სამსხვერპლოს ზღურბლთან აღთქმის შვილის ჭეშმარიტ მამად წარდგეს. სასტიკია ეს ღვთიური პედაგოგიკა, რომელსაც უფალი ყველას მიმართ არ იყენებს, მაგრამ მაქსიმუმის მაგალითით გვიჩვენებს, რომ ადამიანს, თუ მას სურს ადამიანად ყოფნა და ფსკერამდე არ ეფლობა ყოველდღიურობასა და წარმავალ ინტერესებში, ვალად აქვს რაღაც-რაღაცეებზე უარისთქმა, რაღაც-რაღაცეების დათმობა ისევ და ისევ თავის თავში ადამიანის სახისა და სახეობის შესანარჩუნებლად. აბრაამისეულ აქტს ღმერთი აღარავისგან მოითხოვს, მაგრამ ის მინიმუმიც კი, რასაც მოითხოვს ჩვენგან, თანდათან ძნელი შესასრულებელი ხდება.